

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 199

22. 01. 2010 წ.

დეპარტამენტების უფროსებისა და მიმართულებების ხელმძღვანელების არჩევნების დროებითი დებულების შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დაევალოს სტუ-ის ფაკულტეტების დეკანებს უზრუნველყონ მიმდინარე წლის თებერვალში ფაკულტეტების დეპარტამენტის უფროსებისა და მიმართულებების ხელმძღვანელთა მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. დადებითი შეფასების შემთხვევაში მიეცეთ რეკომენდაცია მუშაობის გაგრძელებისა 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებამდე.
2. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს წარმოადგინოს სწავლების დეპარტამენტში (პროფ. ი.ლომიძესთან) ანგარიშების მოსმენების გრაფიკი ა/წ 31 იანვრამდე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

გ. სალუქვაძე